საექსპერტო დასკვნა

მრავალფუნქციური შენობა-სასტუმრო
ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი N12
ს.კ.: 01.15.05.046.001

06 ივლისი, 2024 წელი

დამკვეთი
შპს „მარილი 2020“
(ს/კ.404595274)

შემსრულებელი
შპს „დისი გრუპი“
ს/კ 400237631

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის–"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე.

სარჩევი

სარჩევი 2
შენიშვნები 3
არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა 4
❖ დაგეგმარების საფუძველი და მიზნები 5
❖ 1. დაკავებულობის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება 8
❖ 2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება. 16
❖ 3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება. 16
❖ 4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება. 18
❖ 5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება. 20
❖ 6. მისაწვდომობის შეფასება. 22
❖ 7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება. 24
❖ 8. სახურავის ანაწყობების შეფასება. 25
❖ 9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება. 26
❖ 10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება. 27
❖ 11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება. 32
❖ 12. სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და მიდგომისათვის შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარების შეფასება 32
❖ დასკვნა 34

შენიშვნები

- საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე "შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნათა დაცვით.

- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- პირობითი აღნიშვნები;
- შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა;
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
- საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ჭრილები;
- შენობა-ნაგებობის ფასადები;
- კიბის დეტალური ნახაზები;

❖ დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ **01.15.05.046.001** არსებული შენობა N1/5-ის რეკონსტრუქციას დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (ბრძანება **N6775657**) და შეთანხმებული ესკიზის (ბრძანება **N6887209**) შესაბამისად.

არსებული მდგომარეობით შენობის კონსტრუქციული სართულიანობა არის 8 სართული მათ შორის 1 მიწისქვეშა და 1 სხვენის სართული. შენობის სიმაღლე 31.35 მეტრი, ძირითადი ფასადები (რუსთაველის გამზირსა და ლესია უკრაინკის ქუჩაზე) მოპირკეთებულია ეკლარისა და გრანიტის ქვებით. ხოლო დანარჩენი ფასადები შელესილია და შეღებილია რუხი ფერის საღებავით.

რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით შენარჩუნდება არსებული პორტალის (რუსთაველის მხრიდან შესასვლელი) ფრაგმენტი და აღდგება შენობის ისტორიული სახე რაც ითვალისწინებს ლესია უკრაინკის მხარეს მიშენებას. მთლიანობაში შენობა შეკრავს კვარდატულ ფორმას ხოლო შუაგულში წრიული ფორმის ეზო მოეწყობა. საპროექტო სამუშაოებით გათვალისწინებულია არსებული მოსაპირკეთებელი მასალების შენარჩუნება (არსებულის მოხსნა, გაწმენდა და შემდგომში განახლებული ფასადების მოპირკეთება) ასევე მაქიმალურად შენარჩუნდება ფასადზე მოცემული არქიტექტურული დეტალები როგორებიცაა ქვის ორნამენტები და თუჯის მოაჯირები. ფასადებზე მოეწყობა რუხი ფერის ალუმინის მინაპაკეტი. ძირითადი დეტალები რაც წარმოადგენს ფასადზე არსებულ სვეტებს შორის ვიტრაჟებს, მოეწყობა სამმაგი მინაპაკეტით სადაც შუა მინა იქნება გაბზარული ე.წ. cracked glass რაც ხაზს უსვავს საპროექტო შენობის ისტორიას და ასევე კონცეფტუალურად სახასიათო ელემენტია საპროექტო შენობის.

საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს **3493 კვ.მ-ს** და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს მკვეთრ ქანობიანი რელიეფის მქონე მიწის ნაკვეთს. ტერიტორიის მაქსიმალურ და მინიმალურ დონეებს შორის სხვაობა შეადგენს საშუალოდ 6.5 მეტრს.

მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება რუსთაველის გამზირი, სამხრეთის მხრიდან ლესია უკრაინკის ქუჩა, ხოლო აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

საპროექტო (რეკონსტრუქციის) დოკუმენტაციის მიხედვით შენობა წარმოადგენს 11 სართულიან ნაგებობას, რომელიც რელიეფის თავისებურებიდან გამომდინარე შედგება 8 მიწის ზედა და 3 მიწისქვეშა სართულებისგან. საპროექტო შენობების აბსოლიტური 0.00 ნიშნული შეესაბამება **420.00 მეტრს.**

საპროექტო შენობის **-10.08 ნიშნულზე** არსებულ მიწისქვეშა სართულზე დაგეგმარებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი გათვლილი 32 ავტოსადგომ ადგილზე, ასევე მოწყობილია სასაწყობო ოთახები. საპროექტო შენობის **-6.84 ნიშნულზე** არსებულ მიწისქვეშა სართულზე -10.08 ნიშნულის მსგავსად დაგეგმარებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი გათვლილი 30 ავტოსადგომ ადგილზე, ასევე მოწყობილია სასაწყობო ოთახები და საქვაბე.
შენობის -6.84 და -10.08 ნიშნულებზე მოწყობილ გარაჟებში დაგეგმარდება მინიმუმ 6 მეტრი სიგანის ორმხრივი საავტომობილო გზა, რომელსაც საავტომობილო მისადგომი ექნება "Y10-Y12" და „8-11" ღერძებს შორის მოწყობილი საავტომობილო პანდუსის მეშვეობით, ხოლო გარაჟების საავტომობილო შესასვლელი, ასევე საავტომობილო პანდუსი მოეწყობა -0.24 ნიშნულიდან "Y11-Y12" და „7-11" ღერძებს შორის.

შენობის **-3.60 ნიშნულზე** მდებარე მიწისქვეშა სართულზე მოეწყობა კაზინოს სივრცეები, კერძოდ:
კაზინოს დარბაზი და ბარი, კაზინოს ადმინისტრაცია, საოფისე ოთახი და პერსონალის ოთახი, ასევე აღნიშნულ სართულზე დაგეგმარდება სასაწყობო ოთახები და სახანძრო ტუმბოს ოთახი.

საპროექტო შენობის მიწისპირა სართულზე (**0.00 ნიშნული**) განთავსდება საოფისე ოთახები და ინვენტარის სასაწყობო ოთახი, ასევე "Y1-Y10" და „A-C" ღერძებს შორის დაგეგმარდება სავაჭრო ფართობი დამხამრე საწყობით.

საპროექტო შენობის მიწისპირა სართულზე **(+2.88 ნიშნული)** დაგეგმარებულია მიმღები და ლობი, რომელიც დაუკავშირდება შენობის მთავარ შესასვლელს ლესია უკრაინკის ქუჩის მხრიდან და დამატებით შესასვლელს რუსთაველის გამზირის მხრიდან. აღნიშნულ სართულზე ასევე მოეწყობა დაცვის ოთახი, სასაწყობო ოთახი და სამზარეულო, ხოლო +3.60 ნიშნულზე განთავსდება 0.00 ნიშნულზე მდებარე სავაჭრო ფართობის მე-2 სართული. +2.88 ნიშნულზე მდებარე სამზარეულოსთვის უზრუნველყოფილი იქნება საავტომობილო მისადგომი მომარაგების ფუნქციით, რომელიც „19-17" და "J-K" ღერძებს შორის მოწყობილი საავტომობილო პანდუსით დაუკავშირდება ლესია უკრაინკის ქუჩას.

შენობის **+8.10, +12.42, +15.84, +19.26 და +22.68 ნიშნულებზე** იდენტურად დაგეგმარდება სასტუმროს ნომრები.
+8.10 ნიშნულზე მოეწყობა 42 საძინებელი ერთეული, ხოლო +12.42_+22.68 ნიშნულებზე 40 საძინებელი ერთეული, საერთო ჯამში შენობაში განთავსდება 202 სასტუმროს ნომერი. აღნიშნულ სართულებზე დამატებით დაგეგმარდება სასაწყობო და დამლაგებლის ოთახები.
შენობაში დაგეგმარებული სასტუმროს ნომრების ჯამური რაოდენობიდან **(202 ერთეული)** გამომდინარე მოეწყობა 10 შშმ პირის მისაწვდომი სასტუმროს ნომერი.

საპროექტო შენობის +26.10 ნიშნულზე დაგეგმარებულია კაფე, სამზარეულო და კაფის მომსახურე ტერასები, ასევე ფიტნეს დარბაზი და შენობის მომსახურე სასაწყობო-ტექნიკური დანიშნულების ოთახები, ხოლო შენობის სახურავზე (+28.44 ნიშნული) მოეწყობა დამატებითი ტერასა და საცურა აუზი, რომელსაც ექნება პირდაპირი კავშირი კაფის ტერასასთან.

საპროექტო შენობას მოემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე, 3 სამგზავრო და ერთი სამომსახურეო ლიფტი. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის სიმაღლე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული „მიწის დონის ნიშნულიდან (**-2.35=422.25** მეტრი) შეადგენს **32.0 მეტრს,** ხოლო საპროექტო შენობის ბოლო დაკავებული იატაკი (სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე) მდებარეობს სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი გზიდან **28.30 მეტრზე.**

საპროექტო შენობის ძირითად სტრუქტურულ სისტემას წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სვეტებისა და კოჭებისაგან შემდგარი კარკასი, სართულშუა გადახურვის და სახურავის ფილის მასალად ასევე გამოიყენება გაძლიერებული ბეტონი.

საპროექტო შენობის სახურავი ბრტყელია, თბო და ჰიდროიზოლაციის დამცავი ფენით და წყლის გადაყვანისთვის აუცილებელი მცირე ქანობებით.

სახურავის ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვის ქანობი შეადგენს მინიმუმ 2%-ს და შედგება შემდეგი ფენებისგან:

- ჰიდროიზოლაცია - 2 ფენა ბიტუმინი
- არმირებული მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით
- პემზის ფენა ქანობისთვის
- თბოიზოლაციის ფენა - XPS ფილა
- ორთქლიზოლაციის ფენა
- გაძლიერებული ბეტონის ფილა

საპროექტო შენობებს სიმაღლიდან და გაბარიტებიდან გამომდინარე მინიჭებული აქვს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული **I-B კონსტრუქციის ტიპი.**

❖ 1. დაკავებულობის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

მრავალფუნქციური შენობის სანებართვო დოკუმენტაცია ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით (შემდგომში მოხსენიებული როგორც წესები) განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -10.08 ნიშნულზე განთავსებულია **სწ-1** და **სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობები, -6.84 ნიშნულზე განთავსებულია **სწ-1** და **სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობები, -3.60 ნიშნულზე განთავსებულია **სწ-2, სქ** და **თვ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობები, 0.00 ნიშნულზე განთავსებულია **სწ-1, სქ** და **სვ** ჯგუფის დაკავებულობები, **+2.88 და +3.60 ნიშნულებზე** განთავსებულია **თვ-2, თვ-3, სწ-2, სქ და სვ** ჯგუფის დაკავებულობები, **8.10, +12.42, +15.84, +19.26 და +22.68** ნიშნულებზე განთავსებულია **სც-1 და სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობები ხოლო **+26.10** და **+28.44** ნიშნულებზე განთავსებულია **თვ-2, თვ-3 და სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობები. თითოეული ჯგუფის დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა ინდივიდუალურად არის შეფასებული წესების მოთხოვნებიდან გამომდინარე კერძოდ:

1. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, სასაწყობო ოთახები -10.08 ნიშნულზე, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, სასაწყობო ოთახები, საქვაბე -6.84 ნიშნულზე, სასაწყობო ოთახი, სახანძრო ტუმბოს ოთახი -3.60 ნიშნულზე, სასაწყობო ოთახი +2.88 ნიშნულზე, სასაწყობო ოთახები და დამლაგებლის ოთახი +8.10, +12.42, +15.84, +19.26 და +22.68 ნიშნულებზე, სასაწყობო და ტექნიკური ოთახები +26.10 ნიშნულზე) წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - **27.9** (სასაწყობო ფართობი, დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახები) და **18,6** (ავტოსადგომი გარაჟები) წესების **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- -10.08 ნიშნული - **106 დამკავებელი.**
- -6.84 ნიშნული - **109 დამკავებელი.**
- -3.60 ნიშნული - **3 დამკავებელი.**
- +/-0.00 ნიშნული - **2 დამკავებელი.**
- +2.88 ნიშნული - **4 დამკავებელი.**
- +8.10 ნიშნული - **4 დამკავებელი.**
- +12.42 ნიშნული - **3 დამკავებელი.**
- +15.84 ნიშნული - **3 დამკავებელი.**
- +19.26 ნიშნული - **3 დამკავებელი.**
- +22.68 ნიშნული - **3 დამკავებელი.**
- +26.10 ნიშნული - **14 დამკავებელი.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი -10.08 და -6.84 ნიშნულებზე მდებარე შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟების ფარგლებში მოქცეული და მის გვერდით მდებარე დამხმარე ოთახები, ფუნქციიდან გამომდინარე შეესაბამება წესების **508.2 ქვეთავის** მოთხოვნებს დამხმარე დაკავებულობებთან დაკავშირებით და აკმაყოფილებს წესების **508.2.1, 508.2.2, 508.2.3 და 508.2.4 ქვეთავების** მოთხოვნებს.

თანახმად **508.2.1 ქვეთავისა** დამხამრე დაკავებულობები ერთად არ იკავებდეს იმ სართულის ფართობის 10%-ზე მეტს, სადაც მდებარეობს, ხოლო თანახმად **508.2.2 ქვეთავისა** დამხმარე დაკავებულობები ინდივიდუალურად უნდა კლასიფიცირდეს, **302.1 ქვეთავის** შესაბამისად.
თანახმად **508.2.3 ქვეთავისა** დამხმარე და მთავარი დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი სახანძრო ტუმბოს ოთახი (განთავსებულია -3.60 ნიშნულზე „Y10-Y12 და „A-B“ ღერძებს შორის). სახანძრო ტუმბოს ოთახი აკმაყოფილებს წესების **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნას ოთახების დაცვასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნული ოთახები და ტუმბოები უნდა აკმაყოფილებდეს წესების **913 ქვეთავის** ყველა მოთხოვნას.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობო **(სწ-2),** სავაჭრო **(სვ),** საქმიანი **(სქ),** თავშეყრის **(თვ-2, თვ-3)** და საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) ცეცხლმედეგი ტიხრებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შენობის -10.08 ნიშნულზე მოწყობილი შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, ასევე აკმაყოფილებს წესები **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე და სიგრძე აკმაყოფილებს მოთხოვნილ მინიმუმს - 2.5X5.0 მეტრს. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია წესების **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის სართულზე საავტომობილო შესასვლელი მდებარეობს “Y10-Y12” და „8-11“ ღერძებს შორის, სადაც მოწყობილია მაქსიმუმ 18% ქანობის და მინიმუმ 6 მეტრი სიგანის პანდუსი. პანდუსის თავსა და ბოლოში მოწყობილია 3.5 მეტრი სიგრძის და მაქსიმუმ 10% ქანობის გადასასვლელები.
საავტომობილო პანდუსი აკმაყოფილებს წესების **406.9.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ქანობთან და 406.9.4.7 ქვეთავის მოთხოვნას ავტოსადგომის მისადგომთან დაკავშირებით:

*„**406.9.4.7 ავტოსადგომთან მისადგომი.** ავტოსადგომთან მისადგომი უნდა იყოს, სულ მცირე, ორმხრივი შესასვლელ/გასასვლელი ან ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გამოსასვლელი საავტომობილო გზა ან პანდუსი.*

გარაჟში მოწყობილია 32 ერთეული ავტოსადგომი ადგილი, მათ შორის 2 განკუთვნილი შშმ პირებისთვის და 1 მიკროავტობუსისთვის.

შენობის -6.84 ნიშნულზე მოწყობილი შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, ასევე აკმაყოფილებს წესები **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე და სიგრძე აკმაყოფილებს მოთხოვნილ მინიმუმს - 2.5X5.0 მეტრს. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია წესების **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის სართულზე საავტომობილო შესასვლელი მდებარეობს "Y11-Y12" და „7-11" ღერძებს შორის (-0.24 ნიშნულიდან), სადაც მოწყობილია მაქსიმუმ 18% ქანობის და მინიმუმ 6 მეტრი სიგანის პანდუსი. პანდუსის თავსა და ბოლოში მოწყობილია 3.5 მეტრი სიგრძის და მაქსიმუმ 10% ქანობის გადასასვლელები.
საავტომობილო პანდუსი აკმაყოფილებს წესების **406.9.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ქანობთან და 406.9.4.7 ქვეთავის მოთხოვნას ავტოსადგომის მისადგომთან დაკავშირებით:

*„**406.9.4.7 ავტოსადგომთან მისადგომი.** ავტოსადგომთან მისადგომი უნდა იყოს, სულ მცირე, ორმხრივი შესასვლელ/გასასვლელი ან ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გამოსასვლელი საავტომობილო გზა ან პანდუსი.*

გარაჟში მოწყობილია 30 ერთეული ავტოსადგომი ადგილი, მათ შორის 2 განკუთვნილი შშმ პირებისთვის და 1 მიკროავტობუსისთვის.
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარაჟების საავტომობილო გზა აკმაყოფილებს წესების **406.9.4.2 ქვეთავის** მოთხოვნას ავტოსადგომის საავტომობილო გზასთან დაკავშირებით და წესების **406.9.4.4** ქვეთავის მოთხოვნას საავტომობილო გზის ქანობებებთან დაკავშირებით.
ავტოსადგომ ადგილებს შორის დატოვებულია წესების **406.9.4.3 ქვეთავით** განსაზღვრული მინიმუ 5.5 მეტრიანი გასავლელი.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი შენობის მიწისქვეშა, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები წესების **406.6.2 ქვეთავის** მიხედვით აღჭურვილია მექანიკური განიავების და კვამლის კონტროლის სისტემით, ხოლო წესების **406.6.3 ქვეთავის** მოთხოვნის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემით.

2.სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-1 (სასტუმროს ინვენტარის საწყობები -10.08 და -6.84 ნიშნულებზე, ინვენტარის საწყობი +/-0.00 ნიშნულზე) წესების **311.2 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც ინახება საშუალო საფრთხის შემცველი მასალები, რომლებიც არ კლასიფიცირდება როგოც **სწ-2 ჯგუფის** მასალები და დაკავებულობები.

სწ-1 ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **27.9** (სასაწყობო ფართობი, დამხმარე სათავსები) წესების **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- -10.08 ნიშნული - **7 დამკავებელი.**
- -6.84 ნიშნული **- 7 დამკავებელი.**
- +/-0.00 ნიშნული **- 1 დამკავებელი.**

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობო **(სწ-1)** და თავშეყრის **(თვ-2)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.
თანახმად წესების **508.4 ცხრილისა სწ-1 და სქ** ჯგუფის დაკავებულობების ერთმანეთისგან გამიჯვნა აუცილებელი არა არის.

3. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-2 (კაზინოს დარბაზი და ბარი -3.60 ნიშნულზე, სამზარეულო +2.88 ნიშნულზე, კაფე, ტერასები და სამზარეულო +26.10 ნიშნულზე) **წესების 303.3 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისა და კვებისთვისაა განკუთვნილი

თვ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - 1,4 (არაკონცენტრირებული (მაგიდები და სკამები) და სამზარეულო-18.6(სამზარეულოები) წესების **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად, ასევე შენობის მიწისქვეშა, -1 სართულზე (ნიშნული -3.60), მიწისპირა სართულზე (ნიშნული +2.88), მე-7 სართულზე (+26.10 ნიშნული) და სახურავზე (+28.44 ნიშნული) მოეწყობილი კაზინოს (თამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზი), სასტუმროს ლობის, კაფის, საცურაო აუზის და თავშეყრისთვის განკუთვნილი ტერასების დაკავებულობის დატვირთვის განსასაზღვრად გამოყენებულია **1004.1.2** ქვეთავის გამონაკლისი:

„მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს მიერ აღიარების შემთხვევაში, დაკავებულობის დატვირთვის დაგეგმარებისას დასაშვებია იმ დამკავებელთა რეალური რაოდენობის გამოყენება, ვისთვისაც დაგეგმარდა სივრცე, იატაკი ან შენობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა გამოთვლილ რაოდენობაზე ნაკლებია“

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1004.1.2 ცხრილში** განსაზღვრული დაკავებულობის ფსაქტორის მიხედვით საპროექტო სართულების დაკავებულობის დატვირთვამ შეადგინა:

- კაზინოს დარბაზი (ნიშნული -3.60) – **1311 დამკავებელი**
- ლობი (ნიშნული +2.88) – **900 დამკავებელი**
- კაფე და ტერასები (ნიშნული +26.10) **- 729 დამკავებელი**
- საცურაო აუზი და ტერასა (ნიშნული +28.44) – **290 დამკავებელი**

იქიდან გამომდინარე, რომ კაზინო, ლობი, კაფე , საცურაო აუზი და ტერასები ექსპლუატაციის დროს იქნება ერთიანი მართვის ქვეშ, შენობის მფლობელი და იღებს ვალდებულებას და აცხადებს, რომ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1004.1.2 ქვეთავის** გამონაკლისის შესაბამისად, შენობის ექსპლუატაციის მუდმივ პერიოდში შენობის მიწისქვეშა, -1 სართულზე (ნიშნული -3.60), მიწისპირა სართულზე (ნიშნული +2.88), მე-7 სართულზე (+26.10 ნიშნული) და სახურავზე (+28.44 ნიშნული) არსებულ სივრცეებში არ დაუშვებს ქვემოთ მოცემულ მაქსიმალურ დამკავებლზე მეტს:

- კაზინოს დარბაზი (ნიშნული -3.60) – **300 დამკავებელი**
- ლობი (ნიშნული +2.88) – **300 დამკავებელი**
- კაფე და ტერასები (ნიშნული +26.10) **– 292 დამკავებელი**
- საცურაო აუზი და ტერასა (ნიშნული +28.44) – **50 დამკავებელი**

ასევე აღნიშნულ სივრცეებში უზუნველყოფს სპეციალური ამოსაცნობი ნიშნების განთავსებას, რომ აკრძალულია აღნიშნულზე მეტი რაოდენობის დამკავეებლთა ყოფნა. ***(იხილეთ დანართი)***

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის **(თვ-2),** სავაჭრო **(სვ),** საქმიანი **(სქ)** და საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) ცეცხლმედეგი ტიხრებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-3 (მიმღები და ლობი +2.88 ნიშნულზე, ფიტნეს დარბაზი +26.10 ნიშნულზე, საცურაო აუზი და ტერასა +28.44 ნიშნულზე) **წესების 303.3 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისთვის გამოიყენება, კერძოდ, რელიგიური მსახურების, რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე, სხვა მიზნით თავშეყრისათვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული **თვ** ჯგუფის არცერთ ქვეჯგუფში.

თვ-3 ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - **1.4** არაკონცენტრირებული (მაგიდები და სკამები) და **4.7** (სპორტული ვარჯიშებისთვის განკუთვნილი ოთახები) წესების **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- +2.88 ნიშნული - **306 დამკავებელი.**
- +26.10 ნიშნული - **31 დამკავებელი.**
- +28.44 ნიშნული - **50 დამკავებელი.**

საპროექტო დოკუემნტაციის მიხედვით შენობის საურავზე (+28.44 ნიშნული) იგეგმება საცურაო აუზის მოწყობა.

თანახმად წესების **1809.3 ქვეთავისა** საზოგადოებრივი საცურაო აუზები მთლიანად უნდა შემოიზღუდოს, სულ მცირე, 1,2 მ სიმაღლის ღობით ან მინის შემომზღუდავით. ღობის ღიობებში არ უნდა ეტეოდეს 10 სმ დიამეტრის სფერო. ღობეს ან მინის შემომზღუდავს თვითიხურებადი და თვითიკეტებადი ჭიშკრები უნდა ჰქონდეს.
პროექტით წარმოდგენილი საცურაო აუზი არ არის საზოგადოებრივი მოხმარების და წარმოადგენს სასტუმროს სტუმრების მომსახურებისთვის დაგეგმარებულ სივრცეს, აღნიშნული აუზის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამის კონტროლს ახორციელებს სასტუმროს პერსონალი. აუზი მდებარეობს მინიმუმ 1.20 მეტრი სიმაღლის პარაპეტით შემოზღუდულ ღია სივრცეში.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის **(თვ-3),** სავაჭრო **(სვ),** სასაწყობო **(სწ-2)** და საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) ცეცხლმედეგი ტიხრებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. საქმიანი ჯგუფი სქ (კაზინოს ადმინისტრაცია, საოფისე ოთახი და პერსონალის ოთახი -3.60 ნიშნულზე, საოფისე ოთახები +/-0.00 ნიშნულზე, დაცვის ოთახი +2.88 ნიშნულზე) წესების **304.1** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - **1.4** არაკონცენტრირებული (მაგიდები და სკამები) და **9.3** (საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები) წესების **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- -3.60 ნიშნული - **27 დამკავებელი.**
- +/-0.00 ნიშნული - **59 დამკავებელი.**
- +2.88 ნიშნული - **3 დამკავებელი.**

*თანახმად წესების **303.1.2 ქვეთავისა** თავშეყრის დაკავებულობებად არ უნდა კლასიფიცირდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ოთახები და სივრცეები:*

1. თავშეყრისათვის გამოყენებული ოთახი ან სივრცე, რომელიც სხვა დაკავებულობის დამხმარეა და რომლის დაკავებულობის დატვირთვა 50 ნაკლებია, უნდა კლასიფიცირდეს, როგორც სქ ჯგუფის დაკავებულობა ან მისი ნაწილი.

2. თავშეყრისათვის გამოყენებული ოთახი ან სივრცე, რომელიც სხვა დაკავებულობის დამხმარეა და რომლის ფართობი 70 მ2-ზე ნაკლებია, უნდა კლასიფიცირდეს, როგორც სქ ჯგუფის დაკავებულობა ან მისი ნაწილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე პერსონალის ოთახი -3.60 ნიშნულზე მიეკუთვნება სქ ჯგუფის დაკავებულობას.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი **(სქ),** სავაჭრო **(სვ),** სასაწყობო **(სწ-2)** და თავშეყრის **(თვ-2)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) ცეცხლმედეგი ტიხრებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. სავაჭრო ჯგუფი სვ (სავაჭრო ფართობი და დამხმარე სასაწყობო ოთახი +/-0.00 ნიშნულზე, სავაჭრო ფართობი +3.60 ნიშნულზე) წესების **309.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებსა და ნაგებობებს ან მათ ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.
სვ ჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - **2.8** (სავაჭრო-კომერციული მიწის დონის ქვედა და მიწისპირა იატაკების ფართობები), **5.6** ფართობები სხვა სართულებზე/იატაკებზე და 27.9 (სათავსი, სასაწყობო, დასატვირთი ფართობები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და სავაჭრო ფართობის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- +/-0.00 ნიშნული - **131 დამკავებელი.**
- +3.60 ნიშნული - **57 დამკავებელი.**

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სავაჭრო **(სვ),** თავშეყრის **(თვ-3),** საქმიანი **(სქ)** და საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) ცეცხლმედეგი ტიხრებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი სც-1 (სასტუმროს ნომრები (საძინებელი ერთეულები) +8.10, +12.42, +15.84, +19.26 და +22.68 ნიშნულებზე) წესების **310.3 ქვეთავის** მიხედვით საცხოვრებელი დაკავებულობები, სადაც განთავსებულია საძინებელი ერთეულები, უმთავრესად, დროებითი მცხოვრებლებისთვის .

პროექტის მიხედვით (სასტუმროს ნომრები - საძინებელი ერთეულები) განთავსებულია +8.10, +12.42, +15.84, +19.26 და +22.68 ნიშნულებზე.

საძინებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კეძოდ თითოეული ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეთავით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 2.90 მეტრი), **1208.2 ქვეთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 2.80 მეტრი) ყველა ნომერში გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი არანაკლებ 14 კვ.მ. ფართობის ოთახი, ასევე საძინებელ ერთეულებში დაცულია მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-1 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი -18.6 (საცხოვრებელი) **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა:

- +8.10 ნიშნული - **90 დამკავებელი.**
- +12.42 ნიშნული - **90 დამკავებელი.**
- +15.84 ნიშნული - **90 დამკავებელი.**
- +19.26 ნიშნული - **90 დამკავებელი.**
- +22.68 ნიშნული - **90 დამკავებელი.**

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(სასტუმროს ნომერი) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით, რაც შეესაბამება წესების **420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პოექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი წესების **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის ჩარჩოებ-კავშირიანი კარკასული სისტემა), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვით) აკმაყოფილებს წესების **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **2 საათს**, ხოლო სახურავის და სართულშუა გადახურვის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **2 საათს** და შეესაბამება **601 ცხრილში I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციული ტიპის *შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503 ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.
იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეადგენს **48.8 მეტრს,** დასაშვები სართულიანობა 11 სართულს ხოლო დასაშვები დაკავებულობის ფართობი:

- **სწ-1** ქვეჯგუფი - **4460 კვ.მ**
- **სწ-2** ქვეჯგუფი - **7340 კვ.მ**
- **თვ-2, თვ-3** ქვეჯგუფი - **შეუზღუდავი**
- **სქ** ჯგუფი - **შეუზღუდავი**
- **სვ** ჯგუფი - **შეუზღუდავი**
- **სც-1** ქვეჯგუფი - **შეუზღუდავი**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის შემოთავაზებული სართულიანობა მიწის დონიდან **8 სართული** (მიწისქვეშა 3 სართული). საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის სიმაღლე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული „მიწის დონის ნიშნულიდან (**-2.35=422.35** მეტრი) შეადგენს **32.0 მეტრს,** ხოლო საპროექტო შენობის ბოლო დაკავებული იატაკი (სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე) მდებარეობს სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი გზიდან **28.30 მეტრზე.** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი დაკავებულობების ფართობი შემდეგნაირია:

- სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2 - 4919.2 კვ.მ** (ჯამურად)
- სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-1 - 373.6 კვ.მ** (ჯამურად)
- თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-2 - 2744.5** კვ.მ (ჯამურად)
- თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-3 - 1855.6** კვ.მ (ჯამურად)
- საქმიანი ჯგუფი **სქ - 802.5** კვ.მ (ჯამურად)
- სავაჭრო ჯგუფი **სვ - 751.3** კვ.მ (ჯამურად)
- საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1 - 7110.2** (ჯამურად)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503-ცხრილის მოთხოვნებს.**

სიმაღლისა და ფართობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის, 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან** გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს, ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და მინიმუმ 2 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1027 ქვეთავის** მიხედვით, მიწისპირა სართულზე სრულდება შენობიდან გამოსასვლელებით, კერძოდ:

- საპროექტო შენობის „Y1-Y2*“ და „I-J“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე მიწისპირა სართულზე (5.40 ნიშნული) **1027 ქვეთავის** პირველი გამონაკლისის მიხედვით მოწყობილი ფართობის გავლით უკავშირდება შენობიდან გამოსასვლელ ღიობს და შემდეგ საზოგადოებრივ სივრცეს - ლესია უკრაინკის ქუჩას.
- საპროექტო შენობის „Y9-Y11“ და „A-B“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) **1023 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი გზა-დერეფნის გავლით უკავშირდება შენობიდან გამოსასვლელ გზა-კარს და შემდეგ საზოგადოებრივ სივრცეს - შოთა რუსთაველის გამზრის.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

საპროექტო შენობის მიწისქვეშა სართულზე (-10.08 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სწ-2, სწ-1 ქვეჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან **(113 დამკავებელი)** გამომდინარე, ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. -10.08 ნიშნულზე მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მიწისქვეშა სართულზე (-6.84 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სწ-2, სწ-1 ქვეჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან **(109 დამკავებელი)** გამომდინარე, ემსახურება 2 შიგა

გასასვლელის გზა-კიბე. -6.84 ნიშნულზე მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მიწისქვეშა სართულზე (-3.60 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სწ-2, თვ-2, სქ ჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან **(363 დამკავებელი)** გამომდინარე, ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. -3.60 ნიშნულზე მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სქ, სწ-1 ჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან, **(60 დამკავებელი),** გამომდინარე ემსახურება 1 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი და 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მიწისპირა სართულზე მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სვ ჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან, **(131 დამკავებელი),** გამომდინარე ემსახურება 5 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი. **სვ** დაკავებულობის ჯგუფისთვის მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის პირველ სართულზე (+2.88 ნიშნულები) განთავსებულ დაკავებულობებს **(თვ-2, თვ-3, სქ, სწ-2 ჯგუფი)** სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან **(318 დამკავებელი),** გამომდინარე ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის პირველ სართულზე (+3.60 ნიშნულები) განთავსებულ დაკავებულობებს **(სვ ჯგუფი)** სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან **(57 დამკავებელი),** გამომდინარე ემსახურება 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და 1 შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე. გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მე-2_მე-6 სართულზე (+8.10_+22.68 ნიშნულები) განთავსებულ დაკავებულობებს **(სც-1, სწ-2 ქვეჯგუფი)** სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან **(90 დამკავებელი),** გამომდინარე ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მე-7 სართულზე (+26.10 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(თვ-2, თვ-3 და სწ-2 ქვეჯგუფი)** სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან **(352 დამკავებელი),** გამომდინარე ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის სახურავზე (+28.44 ნიშნულები) განთავსებულ დაკავებულობებს **(თვ-3 ქვეჯგუფი)** სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან **(50 დამკავებელი),** გამომდინარე ემსახურება 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და 1 გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე. გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ერთზე მეტი გასასვლელი და შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით შესაბამისად წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით დაშვებული გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი **სწ-2 და სქ ჯგუფის** დაკავებულობისთვის შეადგენს **90 მეტრს** და **სც-1, თვ-2, თვ-3 და სვ ჯგუფის** დაკავებულობებისთვის შეადგენს **75** მეტრს, რაც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა ძირითად მოთხოვნას,რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

შენიშვნა:

წესების **1006.2 ქვეთავის** თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას,სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

❖ 5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(363 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია წესების **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ)** და გზა-კიბეების მოთხოვნილი თავისუფალი გასასვლელის სიგანე (მარშის სიგანე მოაჯირებს შორის) უნდა შეადგენდეს 1.10 მეტრს თითოეული კიბისთვის. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სართულებს ემსახურება **1.11 მეტრი** თავისუფალი გასასვლელის მქონე გზა-კიბეები და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **1007.3 ქვეთავის** მოთხოვნებს მისაწვდომ გასასვლელ საშაულებებთან დაკავშირებით, კერძოდ:

- თანახმად 1007.3 ქვეთავის 1 გამონაკლისისა სახელურებს შორის 1.2 მ თავისუფალი სიგანე საჭირო არ არის შენობებში, რომლებიც მთლიანად 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემითაა აღჭურვილი.
- თანახმად 1007.3 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა თავშესაფრის ფართობები საჭირო არ არის გზა-კიბეებთან შენობებში, რომლებიც მთლიანად 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემითაა აღჭურვილი;

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებეს წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით გზა-კიბეების ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(3,8 მმ)** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე თითოეული გზა-კარისთვის შეადგენს **0.82 მეტრს,** ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0,82 და 1,50 მეტრს.** ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს წესების **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის დამცავების ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების **1018.1 ცხრილის** შესაბამისად საცხოვრებელი სართულების დერეფნის კედლებს მოეთხოვებათ მინიმუმ 1 ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფა.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი დაკავებულობების მომსახურე დერეფნების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია წესების **1018.2** ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(3,8 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(1,2 მ)** მეტი სიგანის დერეფანები მინიმუმ **1.50 მეტრი.**

საპროექტო შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელებისდა გასავლელების (ავეჯებს შორის-სასაწყობო, სავაჭრო, საქმიან, თავშეყრის და საცხოვრებელ ფართობებზე) რაოდენობა (**1021** ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია **1008** ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (**1004**

ქვეთავი) და **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (**3.8** მმ) მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას. ასევე წესების **1017.5 ქვეთავის** მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

შენიშვნა:

გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები წესების 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს. სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემა დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება. განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

❖ 6. მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1103.1 ქვეთავის** მიხედვით, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია. მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად **1104 ქვეთავისა**.

თანახმად **1104.5 ქვეთავისა,** მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი.

საპროექტო შენობის მიწისქვეშა და მიწის დონის ზედა სართულებზე მისაწვდომობა უზრუნველყოფილია „Y3-Y4" და „1" ღერძებს შორის მდებარე სამგზავრო ლიფტების მეშვეობით, ასევე "Y12" და "12-13" ღერძებს შორის მდებარე სამომსახურეო ლიფტის მეშვეობით.

ლიფტები აკმაყოფილებს წესების **1702.1 ქვეთავის** მოთხოვნას შემომზღუდავებთან და **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ლიფტის კაბინის ზომებთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ მიწის დონიდან შენობის სართულიანობა აღემატება 4 სართულს, ლიფტის კაბინებში შესაძლებელია 2.15X0.60 მეტრი გაბარიტების მქონე საკაცის განთავსება.

აღნიშნული ლიფტები წესების **909.21 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით, ლიფტი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს წესების მე-17 თავის ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -10.08 და -6.84 ნიშნულებზე მდებარე შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებში გამოყოფილია ავტოსადგომი ადგილი შეზღუდული შესაძლებელობის მქონე პირებისთვის წესების **1106.1 ცხრილის** შესაბამისად და დაცულია წესების **1106.5 ქვეთავის** მოთხოვნა მიკროავტობუსის სივრცესთან დაკავშირებით, კერძოდ უზრუნველყოფილია 2 შშმ პირის მისაწვდომი და 1 მიკროავტობუსისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი ადგილი თითოეულ სართულზე „Y1-Y2" და "D-F" ღერძებს შორის.

თანახმად წესების **1107.6.1.1 ქვეთავისა** სც-1 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები უნდა განთავსდეს **1107.6.1.1 ცხრილის** შესაბამისად.

შენობაში დაგეგმარებული სასტუმროს ნომრების ჯამური რაოდენობიდან **(202 ერთეული)** გამომდინარე წესების **1107.6.1.1 ცხრილის** მიხედვით საჭიროა 10 აუცილებელი მისაწვდომი ერთეული, პროექტის მიხედვით მოეწყობა **10 შშმ** პირის მისაწვდომი საძინებელი ერთეული და თითოეული მათგანი დაგეგმარდება ეტლის შესაგორებელი საშხაპით.
მისაწვდომი საძინებელი ერთეულები განთავსდება „2-24" ღერძებს შორის საცხოვრებელი სართულების +8.10, +12.42, +15.84, +19.26 და „22.68 ნიშნულებზე.

თანახმად წესების **1107.6.1.2 ქვეთავისა** თუ ნაგებობებში განლაგებულია ხანგრძლივად საცხოვრებლად განკუთვნილი ოთხი ან მეტი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეული, ყველა მათგანი ბ ტიპის უნდა იყოს.

იქიდან გამომდინარე, რომ შენობა მოიცავს მხოლოდ საძინებელ ერთეულებს მცირე ხნით დამკავებლებისთვის შენობაში ბ ტიპის მისაწვდომი ერთეულების მოწყობა აუცილებელი არ არის

საპროექტო შენობის სახურავზე (+28.44 ნიშნული) განთავსებული საცურაო აუზისთვის მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია „A-B" და „Y9-Y10" ღერძებს შორის შიგა გასასვლელის გზა-კიბის ფარგლებში მდებარე ბაქან-ლიფტის მშვეობით.

თანახმად წესების 2111.8.3 ქვეთავისა არსებული შენობის რეკონსტრუქციის დროს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" შესაბამისი ეტლისათვის განკუთვნილი ბაქან-ლიფტები, რომლებიც ASTM A18.1-ის მიხედვითაა დაყენებული, დასაშვებია იყოს მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტი/ნაწილი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით:

მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტები მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს მოთხოვნებს. იხილეთ **„ტექნიკური რეგლამენტის - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მიხედვით არქიტექტურული, სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობის საექსპერტო დასკვნა.**

შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება **1007.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება **1007.2 ქვეთავის** მოთხოვნას.

მისაწვდომობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღემდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად:

“Y1-Y12“ ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი აღემატება 9 მეტრს (მინიმუმ 18.4 მეტრი) და წესების 602 ცხრილის მიხედვით არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფას.

”Y12-Y1“; “A-K”; “K-A” ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი ნაკლებია 9 მეტრზე (მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 5.8 მეტრი) და წესების 602 ცხრილის მიხედვით საჭიროებს გარე კედლების მინიმუმ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფას, რაც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესბის **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407, 1408 და 1409 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად, გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

შენიშვნა:

<u>გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან</u>

(კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ

წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობისუსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 8. სახურავის ანაწყობების შეფასება.

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია წესების **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (1.5 სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი, მარავლშრიანი (ქანობით მინიმუმ 2%). სახურავის ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვა შედგება შემდეგი ფენებისგან:

- ჰიდროიზოლაცია - 2 ფენა ბიტუმინი
- არმირებული მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით
- პემზის ფენა ქანობისთვის
- თბოიზოლაციის ფენა - XPS ფილა
- ორთქლიზოლაციის ფენა
- გაძლიერებული ბეტონის ფილა

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი სახურავის კონსტრუქცია წესების **1507.10 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს (ცხრილი1505.1ა)** სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია წესების **1507.10.2 ცხრილის** შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM D 3909 ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას.

სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია შიგა გასასვლელის გზა-კიბის მეშვეობით.

სახურავის ანაწყობების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია 7 შერეული დაკავებულობა **სწ-1, სწ-2, თვ-2, თვ-3, სქ, სვ და სც-1** ჯგუფების სახით.

სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, სასაწყობო ოთახები -10.08 ნიშნულზე, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, სასაწყობო ოთახები, საქვაბე -6.84 ნიშნულზე, სასაწყობო ოთახი, სახანძრო ტუმბოს ოთახი -3.60 ნიშნულზე, სასაწყობო ოთახი +2.88 ნიშნულზე, სასაწყობო ოთახები და დამლაგებლის ოთახი +8.10, +12.42, +15.84, +19.26 და +22.68 ნიშნულებზე, სასაწყობო და ტექნიკური ოთახები +26.10 ნიშნულზე), სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-1** (სასტუმროს ინვენტარის საწყობები -10.08 და -6.84 ნიშნულებზე, ინვენტარის საწყობი +/-0.00 ნიშნულზე), თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-2** (კაზინოს დარბაზი და ბარი -3.60 ნიშნულზე, სამზარეულო +2.88 ნიშნულზე, კაფე, ტერასები და სამზარეულო +26.10 ნიშნულზე), თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-3** (მიმღები და ლობი +2.88 ნიშნულზე, ფიტნეს დარბაზი +26.10 ნიშნულზე, საცურაო აუზი და ტერასა +28.44 ნიშნულზე), საქმიანი ჯგუფი **სქ** (კაზინოს ადმინისტრაცია, საოფისე ოთახი და პერსონალის ოთახი -3.60 ნიშნულზე, საოფისე ოთახები +/-0.00 ნიშნულზე, დაცვის ოთახი +2.88 ნიშნულზე), სავაჭრო ჯგუფი **სვ** (სავაჭრო ფართობი და დამხმარე სასაწყობო ოთახი +/-0.00 ნიშნულზე, სავაჭრო ფართობი +3.60 ნიშნულზე), საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1** (სასტუმროს ნომრები (საძინებელი ერთეულები) +8.10, +12.42, +15.84, +19.26 და +22.68 ნიშნულებზე)

დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით(ტიხრებით), რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს. კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა, თაბაშირმუყაოს ფილების და ბეტონის ბლოკის კედლები.

საპროექტო შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია საინჟინრო და მექანიკური მოწყობილობების გაყვანილობები, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და ლიფტის შახტები შემოზღუდულია მინიმუ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713 ქვეთავის** და **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების *შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემებით:

ავტოსაშხეფი სისტემა

- თანახმად წესების **903.2.1, 903.2.1.2, 903.2.1.3, 903.2.8 და 903.2.10 ქვეთავისა** საპროექტო შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **903.3.1 ქვეთავის** მოთხოვნის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დააყენონ NFPA 13 სტანდარტის შესაბამისად, თუმცა წესების **102.3 ქვეთავის** მიხედვით დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება.

სახანძრო მილდგარების სისტემა

- **905.3.1 ქვეთავის** თანახმად I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ბოლო დაკავებული იატაკი სახანძრო მანქანის მისადგომი გზიდან მდებარეობს **28.30** მეტრზე.
- თანახმად **905.5 ქვეთავისა** შენობაში II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.
- თანახმად 905.7 ქვეთავისა კარადები, სადაც განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, კერძოდ: სახანძრო მილდგარები, სახანძრო სახელოები, ცეცხლსაქრობები ან სარქვლები სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს და არ უნდა დაიფაროს თვალისგან. კარადებზე დატანილი უნდა იყოს ამოსაცნობი ნიშნები, არანაკლებ, 5 სმ სიმაღლის ასოებით, რომელთა ფერი მკვეთრად განსხვავდება ფონისგან.
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **905.2 ქვეთავის** მოთხოვნის მიხედვით სახანძრო მილდგარების სისიტემები უნდა დაგეგმარდეს და დააყენონ NFPA 14 სტანდარტის შესაბამისად, თუმცა

წესების **102.3 ქვეთავის** მიხედვით დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება.

ხელის ცეცხლმაქრები

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სწ-1, სწ-2, თვ-2, თვ-3, სქ, სვ და სც-1 ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება, **906 ქვეთავის** მოთხოვნას.

- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **906.2 ქვეთავის** მოთხოვნის მიხედვით პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა დააყენონ NFPA 10 სტანდარტის შესაბამისად, თუმცა წესების **102.3 ქვეთავის** მიხედვით დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, **რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას**, უნდა დაყენდეს წესების 907.2, 907.2.7 და 907.2.9 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად.

- თანახმად წესების **907.2 ქვეთავისა** აღიარებული სახანძრო განგაშის სისტემა, დაყენებული წესების დებულებებისა და **NFPA 72-ის** შესაბამისად, ახალ შენობებსა და ნაგებობებში უნდა შეესაბამებოდეს 907.2.1 – 907.2.23 ქვეთავების მოთხოვნებს და დამკავებლებს შეტყობინებებს უნდა აწვდიდეს 907.5 ქვეთავის შესაბამისად, თუ წესების სხვა ქვეთავებში სხვაგვარად არაა მოთხოვნილი.

- ხელით სამართავი სახანძრო განგაშის, სულ მცირე, ერთი კოლოფი უნდა იყოს ნებადართულ ადგილას, საიდანაც სახანძრო განგაშის სიგნალი გადაეცემა სახანძრო განგაშის სისტემებს, რომლებიც იყენებს ცეცხლის ავტომატურ აღმომჩენ ან წყლის ნაკადის აღმომჩენ მექანიზმებს.
- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატებოდეს.
- შვეულად გაზომვისას, იატაკის დონიდან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების გასააქტიურებელ სახელურამდე ან ბერკეტამდე, არანაკლებ, 1,0 მ და, არაუმეტეს, 1,4 მ უნდა იყოს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა გათვალისწინებულია შენობის ყველა დაკავებულობაში.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **907.2.8 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით **სც-1 ქვეჯგუფის** დაკავებულობები აღჭურვილია შემდეგი სახანძრო განგაშის სისტემებით:

1. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას 907.5 ქვეთავის შესაბამისად.
2. კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას 907.5 ქვეთავის შესაბამისად, დაყენებული ყველა შიგა დერეფანში, რომლებიც ემსახურება საძინებელ ერთეულებს.

3. კვამლზე მორეგირე მაუწყებელის ერთ და მრავალბლოკიანი მოწყობილობები

- თანახმად **907.2.11.1 ქვეთავის** მოთხოვნისა **სც-1 ქვეჯგუფის** დაკავებულობებში კვამლზე მორეგირე მაუწყებელის ერთ და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა განთავსდეს

1. საძინებელ ფართობებზე;
2. გასასვლელი საშუალებების სისტემაში შემავალ გზაზე მდებარე ყველა ოთახში, საძინებელი ფართობიდან საძინებელი ერთეულისკენ მიმავალ კარამდე;
3. საძინებელი ერთეულის თითოეულ სართულზე მიწის დონის ქვედა სართულიანად.

- თანახმად 907.2.15 ქვეთავისა თაროებზე დაწყობილი მასალების შესანახად განკუთვნილ ზონებში უნდა დააყენონ ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა.

- თანახმად 907.4.2 ქვეთავისა თუ სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა წესების სხვა ქვეთავის მოთხოვნითაა დაყენებული, იგი უნდა აქტიურდებოდეს 907.4.2.1 – 907.4.2.6 ქვეთავების შესაბამისად განთავსებული სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით.

- თანახმად წესების 907.3.4 ქვეთავისა ზემოხსენებული სახანძრო უსაფრთხოების ფუნქციის შესრულებისთვის განთავსებული დამხმარე მექანიზმებისა და მოწყობილობების ელექტროგაყვანილობის მთლიანობა NFPA 72-ის შესაბამისად უნდა გაკონტროლდეს.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- წესების **909.21 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებული სამგზავრო და სამომსახურეო ლიფტები აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით.

- თანახმად **909.21.1 ქვეთავისა** ლიფტის შახტები უნდა იყოს დაწნეული, რომ შენარჩუნდეს, სულ მცირე, 25 პა დადებითი წნევა და, არაუმეტეს, 67 პა დადებითი წნევა, მომიჯნავე დაკავებული სივრცის ყველა იატაკის გათვალისწინებით. წნევა უნდა გაიზომოს ლიფტის შახტის თითოეული კარის შუაწერტილში, როდესაც ყველა ლიფტის კაბინა გამოძახების იატაკთანაა და ლიფტის შახტის ყველა კარი გამოძახების იატაკზე ღიაა, ხოლო ლიფტის შახტის ყველა სხვა კარიდახურულია. ამ ტესტის ჩატარების დროს უნდა ჩანდეს თითოეულ დონეზე ლიფტის შახტის კარების გაღება-დახურვა. კარადა ჰაერით უნდა მარაგდებოდეს (შენობის) გარედან, დაუბინძურებელი წყაროდან, რომელიც მდებარეობს, სულ მცირე, 6,0 მ-ის დაშორებით ჰაერის გამწოვი ნებისმიერი სისტემის ან გამომშვები ხვრელისგან.

- წესების **909.20.5 ქვეთავის** მიხედვით, შენობის მომსახურე კიბის უჯრედები აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისიტემით.

- თანახმად **909.20.5 ქვეთავისა** სადაც შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად, ვესტიბიული საჭირო არ არის, თუ შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე იქმნება, სულ მცირე, 25 პა და, არაუმეტეს, 87 პა წნევა გზა-კიბის ყველა კარის დახურვისას, მაქსიმალური თვითწევისა და ქარის გავლენის პირობებში.

- თანახმად **909.20.2.1** ქვეთავისა კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეში კვამლაღმომჩენის გააქტიურების შედეგად კარები თავისით ან ავტომატურად უნდა იკეტებოდეს, რომელიც დაყენებულია კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის იატაკის მხარეს მდებარე შესასვლელთან. ნებისმიერ კარზე დაყენებული კვამლაღმომჩენის გააქტიურებამ უნდა აამუშავოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის ყველა დონეზე მდებარე ყველა კარის დამკეტი მოწყობილობები. კვამლაღმომჩენები უნდა განთავსდეს 907.3 ქვეთავის შესაბამისად.
- თანახმად წესების **406.6.2 ქვეთავისა** შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები (-10.08 და -6.84 ნიშნულზე) უზუნველყოფილი უნდა იყოს მექანიკური განიავების (მათ შორის კვამლის გაწოვის) სისტემით.
- კვამლის საკონტროლო სისტემებით (კვამლის გაწოვის სისტემა) აღჭურვილი უნდა იყოს გასასვლელის სისტემაში შემავალი დერეფნები და გასასვლელის გზა-დერეფნები.

შენიშვნა:

- **დაუშვებელია, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს კვეთდეს ღიობები და გაყვანილობები, გარდა აუცილებელი გასასვლელი კარებისა, მოწყობილობებისა და გაყვანილობებისა, რომლებიც სჭირდება დამოუკიდებელ განიავებას ან წნევის წარმომქმნელებს, საშხეფის მილსადენებს, სახანძრო მილდგარებს, სახანძრო განყოფილების საკომუნიკაციო სისტემის ელექტროგაყვანილობისათვის განკუთვნილ არხებსა და ელექტროგაყვანილობის არხებს, რომლებიც ემსახურება შიგა**

თანახმად 907.4.2 ქვეთავისა თუ სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა წესების სხვა ქვეთავის მოთხოვნითაა დაყენებული, იგი უნდა აქტიურდებოდეს 907.4.2.1 – 907.4.2.6 ქვეთავების შესაბამისად განთავსებული სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.
- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია შენობის გარე კედელზე სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთა დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო ტუმბო:

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია -3.60 ნიშნულზე.
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 913.1 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით სახანძრო ტუმბოები უნდა განთავსდეს NFPA 20-ის შესაბამისად, თუმცა წესების 102.3 ქვეთავის მიხედვით დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოერბის წესებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები უნდა აკამყოფილებდეს წესების **901 ქვეთავის** მოთხოვნებს, დაყენებასთან, აღიარებასთან და შემოწმებასთან დაკავშირებით.

გასასვლელი საშუალებების განათებულობა

- საპროექტო შენობის გასასვლელი საშუალებები (გზა-კიბეები, დერეფნები, ვესტიბიულები) და ასევე ლიფტები აღჭურვილი უნდა იყოს განათების შესაბამისი სისტემებით.

- თანახმად **1006.2 ქვეთავისა** გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.

- თანახმად **1006.3 ქვეთავისა** დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფართობები:

1. დერეფნები, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, პანდუსები და გასასვლელის გზა-დერეფნები.

სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემა დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს, არანაკლებ, 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისგან.

- თანახმად **1006.3.1 ქვეთავისა** საგანგებო ვითარებისას გასანათებელი მოწყობილობები უნდა უზრუნველყოფდეს საშუალოდ 11 ლუქს განათებულობას და გასასვლელის გზის გასწვრივ იატაკის დონეზე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 1 ლუქსს. განათებულობა შეიძლება შემცირდეს 6 ლუქსამდე, ხოლო საგანგებო ვითარების დასრულებამდე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 0,6 ლუქსამდე. განათებულობის მაქსიმალური და მინიმალური თანაფარდობა 40:1-ს არ უნდა აღემატებოდეს.

- თანახმად **1011.6.2 ქვეთავისა** გასასვლელის ნიშნის წინაპირის გარე წყაროდან განათების ინტენსივობა უნდა შეადგენდეს, არანაკლებ, 54 ლუქსს.

- თანახმად **1011.6.3 ქვეთავისა** გასასვლელის ნიშნები ყოველთვის განათებული უნდა იყოს. დენის ძირითდი წყაროს გათიშვისას გასასვლელის ნიშნების განათება რომ, სულ მცირე, 90 წუთის განმავლობაში შენარჩუნდეს, ნიშნის გამანათებელი საშუალებები უნდა მიუერთდეს სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემას, რომელიც მარაგდება აკუმულატორებიდან, მოწყობილობიდან ან ადგილობრივი გენერატორიდან.

- თანახმად **1707.6.2 ქვეთავისა** მეხანძრეების საქმიანობისას ლიფტის შახტი მთელ სიმაღლეზე, არანაკლებ, 11 ლუქსი განათებით უნდა ნათდებოდეს, რაც სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი თითოეული ლიფტის კაბინის თავის დონეზე იზომება.

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

❖ 11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს

წესების **მე-16** თავის შესაბამისად პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის **(სწ-1, სწ-2, თვ-2, თვ-3, სქ, სვ, სც-1)** განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები **1602.2 ქვეთავისა** და **1602.1 ცხრილის** მიხედვით.

უნდა აღინიშნოს რომ, წესების **1602.1 ქვეთავის** მიხედვით **სწ-2 და სწ-1** ჯგუფის დაკავებულობებს არ მოეთხოვება წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები.

წყალსადენის სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას*

❖ 12. სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და მიდგომისათვის შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარების შეფასება

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმარდება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზა, შენობის მთელ სიგრძეზე სახანძრო ავტოკიბეებისათვის მისასვლელი და მისადგომი გზა.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის N508-ე დადგნილებით განსაზღვრული ცვლილებები) წესების **915.12 ქვეთავის** 2 პუნქტის მიხედვით:

სც, თვ, სვ, სქ, დწ და დს ჯგუფებში შემავალი შენობები, რომელთა სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 23 მეტრზე მაღლაა, გზა უნდა მოეწყოს, სულ მცირე, ორი მხრიდან მთელ სიგრძეზე, გარდა დწ და სც-1 ჯგუფის უნარშეზღუდულთა და მარტოხელა მოხუცთა თავშესაფრებისა.

პროექტის მიხედვით აღნიშნული გზა უზრუნველყოფილია შოთა რუსთაველის გამზირის მხრიდან და დამატებით ლესია უკრაინკას ქუჩის მხრიდან. შოთა რუსთაველის გამზირის მხრიდან სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზის სიგანე შეადგენს მინიმუმ 6 მეტრს, ხოლო ლესია უკრაინკას ქუჩის სიგანე უზრუნველყოფს მინიმუმ 4.20 მეტრი სიგანის მისადგომს.

თანახმად 915.4 ქვეთავისა:
"არსებულ განაშენიანებაში შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის განსაზღვრისას სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის სიგანე, შენობა-ნაგებობის სიმაღლიდან გამომდინარე, დასაშვებია იყოს:
ყველა ჯგუფის შენობა-ნაგებობისათვის, რომელთა სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე აღემატება 10 მეტრს და არ აღემატება 30 მეტრს – არანაკლებ 4.2 მეტრისა."

არსებული მდგომარეობით დაშორება გზის კიდიდან შენობის კედლამდე მერყეობს 4.5-9 მეტრის ფარგლებში, რაც აკამყოფილებს წესების **915.8 ქვეთავის 2 პუნქტის მოთხოვნებს.**

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და მიდგომისათვის შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას*

❖ დასკვნა

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ **01.15.05.046.001** მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული, სანებართვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია მაღალ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ, სანებართვო პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: სანდრო ლობჟანიძე

თარიღი: 06.07.2024



საექსპერტო დასკვნა

„ტექნიკური რეგლამენტი - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ არქიტექტურული, სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობა

მრავალფუნქციური შენობა-სასტუმრო
ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი N12
ს.კ.: 01.15.05.046.001

06 ივლისი, 2024 წელი

დამკვეთი
შპს „მარილი 2020“
(ს/კ.404595274)

შემსრულებელი
შპს „დისი გრუპი“
ს/კ 400237631

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №256 დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე.

სარჩევი

სარჩევი 2
შენიშვნები 3
- **მისაწვდომი სვლაგეზი** 4
- **ადგილის და შენობის ელემენტები** 5
- **წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები** 6
- **საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები.** 7
- **3. ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები.** 9
- **4. მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები** 9
- **დასკვნა** 11

შენიშვნები

- საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის დეკემბრის №732 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

❖ მისაწვდომი სვლაგეზი

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, ბაქან-ლიფტებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი.

- იატაკის ზედაპირებზე დონე სხვაობის დროს გამოყენებულია ლიფტები, სხვა შემთხვევაში იატაკის დონეები არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სასაწყობო, თავშეყრის და საოფისე ფართობებზე), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ- ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. საპროექტო შენობის ლიფტები აკმაყოფილებს სატნდარტების 407 ქვეთავის მოთხოვნებს ლიფტები, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტების ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

-სამგზავრო ლიფტების კაბინების შიდა ზომებია: 1300X2400 მმ, სამომსახურეო ლიფტის კაბინის შიდა ზომებია:1600X1900მმ, რაც აკმაყოფილებს 407.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

-კაბინის კარები მდებარეობს კაბინის ცენტრში და მისი სუფთა სიგანე განსაზღვრულია მინიმუმ 900 მმ-ით, რაც შესაბამისობაში 407.3 და 407.4.1 ქვეთავთან.

❖ ადგილის და შენობის ელემენტები

1. საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

-კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 180 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

-კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

-საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

-კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან

მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

-კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

-ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

-სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450x450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

❖ წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
-უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

-უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

-უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

-უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
-უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

-ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

❖ საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები.

1. საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

-გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“.
აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

-სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი.
აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

-მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

-მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

-სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

-სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

-ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

-სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

-ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

-ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

-ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

-შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

-სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

-ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

-სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

-ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

-ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

-ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

-ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

-მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

-მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

-მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

❖ 3. ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები.

1. საუზმის მომსახურებისათვის განკუთვნილი დახლი შეესაბამება 904 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

-დახლის ყველა ნაწილი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე.
-სალაროს დახლის ზედაპირის სიმაღლე შეესაბამება 904.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

❖ 4. მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები

1. საპროექტო შენობაში მისაწვდომი ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საცხოვრებელ სართულებზე დაგეგმარებულია წესების **1107.6.1.1 ქვეთავით** განსაზღვრული მისაწვდომი საძინებელი ერთეულები.
თანახმად წესების 1107.6.1.1 ქვეთავისა სც-1 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები უნდა განთავსდეს **1107.6.1.1 ცხრილის** შესაბამისად.

ენობაში დაგეგმარებული სასტუმროს ნომრების ჯამური რაოდენობიდან **(202 ერთეული)** გამომდინარე წესების **1107.6.1.1 ცხრილის** მიხედვით საჭიროა 10 აუცილებელი მისაწვდომი ერთეული, პროექტის მიხედვით მოეწყობა **10 შშმ** პირის მისაწვდომი საძინებელი ერთეული და თითოეული მათგანი დაგეგმარდება ეტლის შესაგორებელი საშხაპით.
მისაწვდომი საძინებელი ერთეულები განთავსდება „2-24“ ღერძებს შორის საცხოვრებელი სართულების +8.10, +12.42, +15.84, +19.26 და „22.68 ნიშნულებზე.

<u>მისაწვდომი ერთეული:</u>
-მისაწვდომი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა, რადგან ემსახურება მხოლოდ საძიენებელ ერთეულს.

-ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.

-ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

-მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.

-სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

-ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.

-ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

-ერთეულში მოწყობილი ტუალეტი აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.
- მისაწვდომი მოწყობილობები მდებარეობდეს ერთ ტუალეტის/სააბაზანოს ფართობზე.
- გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
- ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.
- უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.
- საშხაპე ნაკვეთური შეესაბამება 608-ე ქვეთავს.

„ბ“ ტიპის საძინებელი ერთეული:

საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 1107.6.1 და 1107.6.1.2 ქვეთავების მიხედვით შენობაში „ბ ტიპის“ მისაწვდომი ერთეულების მოწყობა აუცილებელი არ არის რადგან შენობაში არ არის დაგეგმარებული ხანგრძლივად საცხოვრებლად განკუთვნილი საცხოვრებელი სივრცე.

❖ დასკვნა

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ **01.15.05.046.001** მრავალფუნქციური შენობის მისაწვდომობის პროექტის, სანებართვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია მაღალ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს სანებართვო პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ, სანებართვო პროექტზე დაყრდნობით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: სანდრო ლობჟანიძე

თარიღი: 06.07.2024



MARILI 2020

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

შპს „მარილი 2020“-ს
(ID ნომერი 404595274)
დირექტორის ბექა ბაბალაშვილის

წ ე რ ი ლ ი

მოგახსენებთ, რომ შპს „მარილი 2020“-ს (ID ნომერი 404595274) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, **საკადასტრო კოდი (01.15.05.046.001),** იგეგმება მრავალფუნქციური შენობის დაპროექტება და აშენება. საპროექტო შენობის მიწისქვეშა, -1 სართულზე (ნიშნული -3.60), მიწისპირა სართულზე (ნიშნული +2.88), მე-7 სართულზე (+26.10 ნიშნული) და სახურავზე (+28.44 ნიშნული) მოეწყობა კაზინოს, თამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზი(ოთახები), სასტუმროს ლობი, კაფე, საცურაო აუზი და თავშეყრისთვის განკუთვნილი ტერასები.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ტექნიკურ რეგლამენტის–"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით აღნიშნულ სართულებზე განისაზღვრა შესაბამისი დაკავებულობის ჯგუფი (წესების 303.4 ქვეთავი) და საპროექტო სართულების ფართობიდან გამომდინარე დაკავებულობის დატვირთვები (წესების 1004 ქვეთავი). შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით დაკავებულობის დატვირთვამ კაზინოს სივრცეებში შეადგინა:

- კაზინოს დარბაზი (ნიშნული -3.60) – **1311 დამკავებელი**
- ლობი (ნიშნული +2.88) – **900 დამკავებელი**
- კაფე და ტერასები (ნიშნული +26.10) - **729 დამკავებელი**
- საცურაო აუზი და ტერასა (ნიშნული +28.44) – **290 დამკავებელი**

იქიდან გამომდინარე, რომ კაზინო, სასტუმროს ლობი, კაფე, საცურაო აუზი და თავშეყრისთვის განკუთვნილი ტერასები ექსპლუატაციის დროს იქნება ერთიანი მართვის ქვეშ, შპს „მარილი 2020“, მისი დირექტორის ბექა ბაბალაშვილის სახით იღებს ვალდებულებას და აცხადებს, რომ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1004.1.2 ქვეთავის** გამონაკლისის შესაბამისად, შენობის ექსპლუატაციის მუდმივ პერიოდში შენობის მიწისქვეშა, -1 სართულზე (ნიშნული -3.60), მიწისპირა სართულზე (ნიშნული +2.88), მე-7 სართულზე (+26.10 ნიშნული) და სახურავზე (+28.44 ნიშნული) არსებულ სივრცეებში არ დაუშვებს ქვემოთ მოცემულ მაქსიმალურ დამკავებლზე მეტს:

- კაზინოს დარბაზი (ნიშნული -3.60) – **300 დამკავებელი**
- ლობი (ნიშნული +2.88) – **300 დამკავებელი**
- კაფე და ტერასები (ნიშნული +26.10) – **292 დამკავებელი**
- საცურაო აუზი და ტერასა (ნიშნული +28.44) – **50 დამკავებელი**

ასევე აღნიშნულ სივრცეებში უზუნველყოფს სპეციალური ამოსაცნობი ნიშნების განთავსებას, რომ აკრძალულია აღნიშნულზე მეტი რაოდენობის დამკავეებლთა ყოფნა

შპს „მარილი 2020“, მისი დირექტორის ბექა ბაბალაშვილი ხელმოწერის სახით ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებაზე თანხმობას და იღებს შესაბამის პასუხიმგებლობას.

პატივისცემით
შპს „მარილი 2020“-ს დირექტორი
ბექა ბაბალაშვილი

MARILI 2020 LTD
12 Rustaveli Str. Tbilisi, Georgia
marili2020ltd@gmail.com
(+995) 595 32 11 88

08.07.2024

საქართველო. შპს მარილი 2020 * GEORGIA. MARILI 2020 LLC * 404595274

July 8, 2024

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
ILIA STATE UNIVERSITY

მაგისტრის დიპლომი
MASTER'S DIPLOMA

ISU № 000422

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის
2016 წლის 5 აგვისტოს №8 გადაწყვეტილებით
By decision №8 of the Faculty of Natural Sciences and Engineering
on this 5th day of August, 2016

სანდრო ლობჟანიძეს

დაბადებულს 22.01.1992

Sandro Lobzhanidze

Born on 22.01.1992

მიენიჭა

არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი

რასაც ვადასტურებთ უნივერსიტეტის ბეჭდითა და ჩვენი ხელმოწერებით

was conferred

THE DEGREE OF MASTER OF ARCHITECTURE

in witness thereof the seal of the University and our signatures are affixed

გიგა ზედანია
Giga Zedania

დავით თარხნიშვილი
David Tarkhnishvili



დეკანი
Dean

რექტორი
Rector

რეგისტრაცია Registration № 1821

თბილისი Tbilisi

თარიღი Date 10.11.2016

თბ. ზ.საკანდელიძის ქ.3
ტ- (99532) 2915257
Email: info@artstudio.ge

არტსტუდიო პროექტი

3. Z.Sakandelidze st, Tbilisi
Tel (99532) 2915257
Email: <info@artstudio.ge>

25.06.2020

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე სანდრო ლობჟანიძეს (პირადი №62007016164) მასზედ, რომ 2014 წლის აგვისტოდან დღემდე მუშაობს შპს "არტსტუდიო-პროექტში" არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

შპს "არტსტუდიო-პროექტის" დირექტორი
ირენე სკალვინი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-077

გადაეცემა

სანდრო ლობჟანიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი